ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9726237001**
თარიღი:**25/08/2026**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N- 16

დ. ლენტეხი. 20 აგვისტო 2026წ

მიმდინარე წლის 20 აგვისტოს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მორიგ სხდომას ესწრება საკრებულოს 18(თვრამეტი) წევრი და საპატიო მიზეზით არ ესწრება საკრებულოს 5(ხუთი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანი, ა(ა) იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების დირექტორი ზაქრო ხვისტანი, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა"-ს დირექტორი ვიოლეტა ლიპარტელიანი,მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი,მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი მელანო ქურასბედიანი, მოწვეული სპეციალისტი საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიაში ცოტნე ქურასბედიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების ანგარიში 2026 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანი/

2. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2026 წლის 6 (ექვსი) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ა(ა) იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების დირექტორი ზაქრო ხვისტანი/

3. ა(ა)იპ ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის

ანგარიში 2026 წლის 6 (ექვსი) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ა(ა) იპ ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ინგა ონიანი/

4. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა“-ს ანგარიში ექვს თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხს:ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა“-ს დირექტორი

5.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

6. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18-ივნისის N-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

7. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - სარეზერვო ფონდიდან ეკონომიურად შეჭივრებულ ოჯახებზე ფინანსური დახმარებების გაცემის შესახებ.

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა - რომ სხდომაზე გარკვეული ხელისშემშლელი მიზეზების გამო ვერ გამოცხადდა ა(ა) იპ ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ინგა ონიანი და შესაბამისად ამ ანგარიშის მოსმენა გადაიდოს საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი N-16 სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების ანგარიში 2026 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანი/

2. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2026 წლის 6 (ექვსი) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ა(ა) იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების დირექტორი ზაქრო ხვისტანი/

3. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა“-ს ანგარიში ექვს თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხს:ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა“-ს დირექტორი

4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

5. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18-ივნისის N-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

6. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - სარეზერვო ფონდიდან ეკონომიურად შეჭივრებულ ოჯახებზე ფინანსური დახმარებების გაცემის შესახებ.

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

1.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანმა წარმოადგინა ანგარიში **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების მიერ 2026 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. მან სხდომის წევრებს მიაწოდა სრული და ობიექტური სურათი სამსახურის მუშაობის შესახებ.**

II. ფინანსური და სტრატეგიული მიმოხილვა

2026 წელს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის სახელმწიფო

დაფინანსება შემდეგი მიმართულებებით არის განსაზღვრული:

• საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულებით,

რეგიონული განვითარების ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3

830 000 ლარი;

• საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 აპრილის №878 განკარგულებით, მთის

ფონდიდან — 2 910 000 ლარი;

• საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის №222 განკარგულებით, სტიქიის

შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის — 950 000 ლარი;

• საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №85 განკარგულებით, სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში — 604 000 ლარი; ამ მიმართულებით

მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, ხოლო ტენდერების

გამოცხადების პროცესი ინიცირებულია.

ჯამში, 2026 წლისთვის სახელმწიფო პროგრამებით მუნიციპალიტეტისთვის

გამოყოფილი ინფრასტრუქტურული დაფინანსება 8 294 000 ლარს შეადგენს. ამას

ემატება ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული მიმდინარე

ინფრასტრუქტურული მომსახურებები, ჯამური ღირებულებით 365 274 ლარი,

რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

III. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და ტენდერები

რეგიონული განვითარების ფონდი

2026 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების რეესტრის მიხედვით, რეგიონული ფონდის მიმდინარე პორტფელი 24 პროექტს მოიცავს, ჯამური ღირებულებით — დაახლოებით 4,0 მლნ ლარი. პროექტების უმრავლესობაზე ხელშეკრულებები გაფორმებულია და სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

1. საგზაო ინფრასტრუქტურა (10 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1 709 741 ლარი). ბეტონის საფარიანი გზების მოწყობის სამუშაოები დაკონტრაქტებულია ან მიმდინარეობს: სოფ. მუწდიში (69 679 ლ), სოფ. მაცხვარლამეზურში 107 390 ლ), სოფ. წანაშში (ზედა) — II ეტაპი (203 860 ლ), სოფ. გულიდის მიმართულებით — II ეტაპი, საგზაო ზღუდარებით (161 607 ლ), სოფ. ნანარში (169 459 ლ), სოფ. ლესემაში (134 768 ლ) და სოფ. ყარიშში — შიდა სასოფლო გზა საყრდენი კედლებითა და სანიაღვრე არხით (163 955 ლ). ამასთან, მიმდინარეობს მთა ლაბრახის მიმართულებით გზის აღდგენა-რეაბილიტაცია (245 000 ლ) და ყველაზე მასშტაბური საგზაო პროექტი — სოფ. ფაყიდან სკალდის მიმართულებით გზის გაფართოება, ღელეებზე გადასასვლელების მოწყობა და ხევრას მიმართულებით გზის რეაბილიტაცია (342 181 ლ). ზედა მელეში გზის საყრდენი კედლების მოწყობაზე გამოცხადებული ტენდერი (111 842 ლ) არ შედგა.

2. წყალმომარაგება (6 პროექტი, ჯამური ღირებულებით 559 197 ლარი). ხელშეკრულებები გაფორმებულია წყალსადენების მოწყობაზე: სოფ. მამში (104 720 ლ), სოფ. რცხმელურში (70 394 ლ), სოფ. მელურაში (107 260 ლ), სოფ. ჭველიერში (74 480 ლ), სოფ. თეკალში — ორი ობიექტი (95 091 ლ) და სოფ. ტვიბში (107 252 ლ).

3. ხიდები (2 პროექტი, ჯამური ღირებულებით 351 552 ლარი): ხიდის მოწყობა სოფ. რცხმელურში (267 297 ლ) და ორი ხიდბოგირის მოწყობა სოფ. ბავარში (84 255 ლ).

4. კეთილმოწყობა, ტურისტული და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (5 პროექტი, ჯამური ღირებულებით 928 509 ლარი): სოფ. ხელედში, თამარ მეფის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (239 909 ლ — შესრულების 30%); დაბა ლენტეხში ჯოკია მეშველიანის სახელობის სკვერის მოწყობა (191 615 ლ — შესრულების 60%); ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობა და ბილიკების მოწყობა (336 878 ლ — ხელშეკრულება გაფორმებულია და მიმდინარეობს სამუშაოები); სოფ. ლაღარვაშში სკვერის მოწყობა (70 747 ლ — შესრულების 20%); ასევე ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია ოთხ სოფელში — ჩიხარეშში, ხელედში, თეკალსა და სასაშში (89 360 ლ).

5. სპორტული ინფრასტრუქტურა: გამოცხადებულია ტენდერი სოფ. სასაშში სპორტდარბაზის მშენებლობაზე (478 932 ლ), ხოლო თეკალის სპორტდარბაზის პროექტი მიმდინარე პერიოდში გაიგზავნა სატენდეროდ.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (2024–2025 წლების სტიქიები)

ამ მიმართულებით რეესტრში ასახულია 12 ღონისძიება, ჯამური ღირებულებით 2 201 615 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია:

• მდ. ლასკადურაზე მჟავე წყლის ხიდისა და ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია — პორტფელის უმსხვილესი პროექტი (858 281 ლ; შესრულების 20%, დასრულების ვადა — 2026 წლის 15 დეკემბერი);

• სოფ. დურაშში მდ. ჩოლშურას კალაპოტის ამოწმენდა და ქვაყრილის მოწყობა ლოდნარით (210 599 ლ; სამუშაოების ვადა — 20 აგვისტო);

• სოფ. ლუჯიში მდ. ხეშკურის კალაპოტის ამოწმენდა და ქვაყრილების მოწყობა (209 235 ლ; ტენდერში გამარჯვებული გამოვლენილია);

• სოფ. ხოფურში საყრდენი ბეტონის კედლის მოწყობა (136 267 ლ);

• კალაპოტების ამოწმენდისა და დამცავი ნაგებობების სამუშაოები: სოფ. ბავარსა და ხაჩეშში (89 271 ლ), სოფ. ტვიბში (100 018 ლ), ხოფური–ლასკადურა–ლუორის მონაკვეთებზე (76 936 ლ — შესრულების 95%) და ხერია–სასაში–ლექსურის მონაკვეთებზე (25 024 ლ);

• სოფ. ლუჯიში მინი სტადიონის აღდგენა-რეაბილიტაცია (37 375 ლ);

• სოფ. ჩუკულსა და შკედში ხუთი ხიდბოგირის მოწყობა (275 019 ლ) — შესრულება 65%; ვადების დარღვევის გამო შემსრულებელი კომპანია საჯარიმო სანქციების რეჟიმშია;

• ორი ტენდერი — სოფ. ლუჯიში წალეკილი გზის აღდგენასა და სოფ. მარგვიშში გაბიონის მოწყობაზე (54 042 ლ), ასევე სოფ. ლემზაგორში ნიაღვარგამტარისა და საყრდენი კედლების მოწყობაზე (129 548 ლ) — არ შედგა.

ასევე, შესყიდვის ეტაპზეა მჟავე წყლების კეთილმოწყობის ორი პროექტი: სოფ. ხოფურში (209 341 ლ — მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება) და სოფ. ლასკადურაში (81 753 ლ — დაწყებულია წინადადებების მიღება).

ადგილობრივი ბიუჯეტი

2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება: შიდა სასოფლო გზების თოვლის საფარისა და ჩამონაშალი ქანებისგან გაწმენდა (60 000 ლ; ათვისებულია 40 132 ლ),

IV. ბოლოდროინდელი აქტივობები და სტიქიაზე რეაგირება (21 ივლისი — 5 აგვისტო)

ბოლო ორი კვირის განმავლობაში სამსახურის მუშაობა ოთხი ძირითადი მიმართულებით წარიმართა.

1. სტიქიაზე რეაგირება და ზარალის შეფასება

18-19 ივლისის სტიქიამ მუნიციპალიტეტის რამდენიმე ხეობას მიაყენა ზიანი. სამსახურმა ოპერატიულად განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

• სოფ. დურაშში დაზიანდა სასმელი წყლის სისტემა — მომზადდა შესაბამისი მოხსენება; შეიქმნა დურაშის ზარალის დამთვლელი კომისია; გაიგზავნა წერილი მოსახლეობასთან შეხვედრის თაობაზე; დურაშში ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით ზედამხედველობის სააგენტოს გადაეგზავნა გეოლოგიური დასკვნა;

• საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეთხოვა ცანა-ზესხოს გზის გაწმენდა სტიქიის შედეგებისგან; ამავე უწყებას გაეგზავნა მოხსენებები ფანაგისა და ტვიბლედის ღელეებზე განვითარებულ სტიქიურ მოვლენებზე, ასევე წერილი ბაბილის ღელეზე ცხაურების მოწესრიგების თაობაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ქვედა ბაბილის დატბორვა;

• მომზადდა და დადგენილი წესით გაიგზავნა 18-19 ივლისის სტიქიის ამსახველი მოხსენება და დეფექტური აქტები, მათ შორის — სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში 12 ლოკაციაზე: სოფელი ტვიბი, სოფელი საყდარი, სოფელი მამი, ლეუშერი, მუწდი, დაბა ლენტეხი - ვაჟა ფშაველას ქუჩის მიმდებარედ, სოფელ ჭველფში, სოფელი ბაბილი(3 ლოკაცია), დაბა ლენტეხში მელურის გზის დასაწყისში.

• 5 აგვისტოს შედგა დეფექტური აქტი სოფ. ლუჯიში აგვისტოს სტიქიით მიყენებულ ზიანზე;

• გაიგზავნა წერილი სოფ. საყდარში გზის მოვლა-შენახვის საკითხზე.

2. ნებართვები, თანხმობები და ლეგალიზება

წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში სამსახურის მიერ გაცემულია მშენებლობის 9 ნებართვა(მათ შორის, ლეგალიზება, თანხმობა და ნებართვა). ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით საქმიანობა აქტიურად გაგრძელდა:

• გაიცა მშენებლობის ნებართვა ლენტეხის საბავშვო ბაღზე (ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დადასტურების შემდეგ);

• გაიცა მშენებლობის ნებართვა ილამაზ ლიპარტელიანზე ტურბაზის ტერიტორიაზე (ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დადასტურების შემდეგ);

• გაიცა მშენებლობის ნებართვა ბერდია გუგავაზე (ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დადასტურების შემდეგ);

• გაიცა მშენებლობის ნებართვა ხათუნა ტვილდიანზე სოფ. ყარიშში (ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დადასტურების შემდეგ);

• გაიცა მშენებლობის ნებართვა დათო ფურელიანზე 1 ეტაპი

• გაიცა მშენებლობის თანხმობები დავით ზურაბიანსა და ბელა მუკბანიანზე;

• გაიცა ლეგალიზების აქტი იური ჩანქსელიანზე, ასევე თანხმობა მერაბ რატიანის საცხოვრებელი სახლის ლეგალიზებაზე (ლეუშერი);

• გაიცა თანხმობა ხათუნა ტვილდიანზე სოფ. ყარიშში ელექტროსამუშაოების წარმოებაზე („ენერგო-პროსთვის“);

• ხარვეზი დაუდგინდა სატყეო სააგენტოს განცხადებას მშენებლობის კლასთან შეუსაბამობის გამო (დეკლარირებული იყო I კლასი, ფაქტობრივად კი III კლასის მშენებლობაა) — განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს კორექტირებული დოკუმენტაცია ან მომართოს ნებართვის მოთხოვნით;

• ცნობად იქნა მიღებული მშენებლობათა ფასადებთან დაკავშირებული №547 დადგენილება.

რაც შეეხება საერთო სტატისტიკას: წლის პირველ ექვს თვეში სამსახურში შემოვიდა 570 წერილი და განცხადება — როგორც მოსახლეობიდან, ისე სხვადასხვა ორგანიზაციიდან — და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველა მათგანს გაეცა პასუხი.

3. უწყებათაშორისი კოორდინაცია

მიმდინარე პროექტებისა და მოქალაქეთა საკითხების გადასაწყვეტად სამსახური აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ უწყებებთან:

• საავტომობილო გზების დეპარტამენტი — გზების გაწმენდის, ღელეებზე დამცავი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და მოქალაქეთა განცხადებების (მათ შორის, ევტეხი ბენდელიანის საკითხის) ფარგლებში;

• გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია — ასფალტირების სამუშაოების დაჩქარების, ჭის თავსახურების მოწესრიგებისა და მოქალაქეთა კორესპონდენციის (ლაშა ონიანის განცხადება) მიმართულებით; ასევე გაიგზავნა უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, დაზიანებული მონაკვეთების აღდგენაზე და დაჩქარებულ ტემპში მუშაობასთან დაკავშირებით მოთხოვნა.

• გარემოს სააგენტო — გაიგზავნა შუამდგომლობა ლენტეხის საგზაო სამუშაოებისთვის საჭირო კარიერის საკითხზე, 124-ე გზის მონაკვეთზე, სოფ. მელესთან;

• სს „ენერგო-პრო“ — სოფ. ყარიშში ელექტროსამუშაოებზე გაცემული თანხმობის ფარგლებში;

• ზედამხედველობის სააგენტო — ახალი ხიდის სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვისა და დურაშის გეოლოგიური დასკვნის თაობაზე;

• მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო — მიმდინარე პროექტების ვადებთან

დაკავშირებული შუამდგომლობებისა და მოხსენებების ფარგლებში; საკრებულოს ცალკე მოხსენდა თეკალის მრავალფუნქციური ობიექტისა და ლეუშერის ბეტონის გზის საკითხები.

4. სატენდერო ინიციატივები და პროექტების კორექტირება

• გადასაფასებლად გაიგზავნა 7 პროექტის ხარჯთაღრიცხვა; გადაფასებაზე გაშვებული პროექტების დოკუმენტაცია გადაცემულია დადგენილი წესით; თუმცა ტექნიკური ცვლილებების გამო შემდეგ კვირაში დასრულდება აღნიშნული პროცესი.

• მიმდინარეობს პროექტების კორექტირება: ზაგაროს პროექტი (შპს „ელიტ ბილდერს გრუპთან“), ლაღარვაშის პროექტი, ჭველფის ხიდის პროექტი (გაგზავნილია კორექტირება და შუამდგომლობა ვადებთან დაკავშირებით); ინიცირებულია მუზეუმის პროექტის კორექტირება შპს „ჯორჯიან ინჟინირინგთან“;

• ლასკადურის პროექტზე ვადაგადაცილების საკითხის მოსაწესრიგებლად გაიგზავნა შესაბამისი წერილები და შუამდგომლობა;

• სატენდეროდ გაიგზავნა თეკალის სპორტდარბაზის პროექტი; ინიცირებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ტენდერების გამოცხადება; შიდა გზების მოვლის ტენდერისთვის მომზადდა მოხსენებითი და შესწორებული მოცულობითი პრეისკურანტი (30 000 ლარი); თეკალის ხიდზე მომზადდა წერილი და მოხსენება შესყიდვების მიმართულებით დავალების თაობაზე;

• სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოხდა სოფლების მონახულება და ინფორმაციის შეგროვება, რის საფუძველზეც განხორციელდება შემდგომი რეაგირება.

V. დასკვნა

წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ 2026 წლის ინფრასტრუქტურული პროგრამა აქტიურ ფაზაშია: ხელშეკრულებების აბსოლუტური უმრავლესობა გაფორმებულია და სამუშაოები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით — გზების, წყალმომარაგების, ხიდების, კეთილმოწყობისა და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიმართულებით. სამსახურის პრიორიტეტებია: 2026 წლის გეგმით გათვალისწინებული ყველა პროექტის ხარისხიანად და დროულად დასრულება, შემსრულებელთა მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მკაცრი კონტროლი, სტიქიით დაზარალებული უბნების პრიორიტეტული აღდგენა და მოქალაქეთა ყველა მომართვაზე დროული რეაგირება.

სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა მომხსენებელს მიულოცა აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნა და ამავე დროს მადლობა გადაუხადა ასეთი სრულყოფილი ანგარიშის წარმოდგენისთვის.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კომისიამ მოისმინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების ანგარიში 2026 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ და კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი ანგარიში.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა ყურადღება გაამახვილა ტენდერებზე, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების გეგმის მხოლოდ 16 პროცენტია ათვისებული და ეს არის ძალიან საგანგაშო ნიშნული.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი მათ ძალებს აღემატება. რომ არის პროცესები დროში გაწელილი, ყველა თავს იკავებს ტენდერებში მონაწილეობაზე, მერე ხდება გადაფასება და ფაქტიურად გეგმას ვერ ვასრულებთ.

შეკითხვები დასვეს მაჟორიტარმა დეპუტატებმა თემების მიხედვით.

მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასება.

ხმათა უმრავლესობით: მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სამშენებლო რეგულირების განყოფილების ანგარიში 2026 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კომისიამ მოისმინა **ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2026 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი ანგარიში. კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ანგარიშის მოსმენა საკრებულოს მორიგ სხდომაზე.**

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა ჩოლურის თემში სოფ. თეკალში რემონტდება სპორტ. დარბაზი, რაც ძალიან დადებითი ფაქტია, მაგრამ არის ერთი პრობლემა - გვაქვს ტატამის პრობლემა. ეს პრობლემა წლების წინ მოგვარებული იყო. სკოლის განცხადების საფუძველზე განათლების სამინისტრომ საჩუქრად გადასცა სკოლას ტატამი, მაგრამ რემონტის დროს დასაწყობდა კერძო პირის ოჯახში, რომელიც არ თმობს, თუ მას არ დაასაქმებენ. ამიტომ თხოვნაა საკრებულოსთან ჩაერთონ ამ საკითხის მოგვარებაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ დაევალოს ამ საკითხის შესწავლა და განხილვა ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ბატონ დავით ფურელიანს.

ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ხმათა უმრავლესობი: მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2026 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

3.მოისმინეს: ა(ა)ი პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ,,კომუნალური მომსახურეობის და

კეთილმოწყობის“-ს უფროსმა ვიოლეტა ლიპარტელიანმა წარმოადგინა ანგარიში მიმდინარე წლის ექვს თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ . ანგარიშის ბოლოს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დასაქმებულებს -მეეზოვეებს აქვთ დაბალი ანაზღაურება და უჭირს კადრების მოზიდვა.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ - ახალი ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს აუცილებლად ვიმსჯელებთ ამ საკითხზე.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა - ძალიან ცუდი მდგომარეობაა სოფ. ზედა ბაბილში, გადავსებულია გზის ფერდობი ნაგავით. ჩემი წინადადებაა შევხვდეთ სოფლის მოსახლეობას და შევთავაზოთ ამ პრობლემის მოგვარების გზა.

აზრი გამოთქვა; მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა. ეს პრობლემა მოგვარებული იქნება უახლოეს პერიოდში, რადგანაც რაიონში შემოდის პატარა მოცულობის ნაგვის მანქანები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფერდობზე ასვლაც და გზის გაყოლებაზე არსებული ხეებიც ვერ შეუქმნის პრობლემას.

იყო დამატებითი შეკითხვები.

,მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის ,,კომუნალური მომსახურეობის და კეთილმოწყობის“-ს ანგარიში მიმდინარე წლის ექვს თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ .

4. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.**

შეკითხვა დასვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა. ის დაინტერესდა გეგმის შესრულების პროცენტული მაჩვენებლებით სხვადასხვა სფეროში. მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

საფინანსო სამსახურის უფროსი დაინტერესდა არქივისთვის გათვალისწინებული თანხით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს არის ჩვენი მუნიციპალიტეტის კუთვნილი არქივი, რომელიც ინახება ქუთაისში და საჭიროების შემთხვევაში გვიწევენ მომსახურეობას. შესაბამისად ეს თანხაც ამისთვის არის გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

5. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი:

,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18-ივნისის N-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

შეკითხვები დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18-ივნისის N-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. მოისმინეს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი -

თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - სარეზერვო ფონდიდან ეკონომიურად შეჭივრებულ ოჯახებზე ფინანსური დახმარებების გაცემის შესახებ. მომხსენებელმა აღნისნა, რომ

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შემოსულია შემდეგი მოქალაქეების განცხადებები: 1. ნატო ტვილდიანი (#19/96260920-96 28.07.2026წ); 2. თამარ ონიანი (#19/96260920-96 28.07.2026წ); 3. ლია სელეცკი (#19/962622416-96 12.08.2026წ); 4. ხათუნა ფურელიანი (#19/962622416-96 12.08.2026წ). ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: ნატო ტვილდიანი პ/ნ 41001024721 არის ქვრივი, რომელიც ზრდის ორ არასრულწლოვან შვილიშვილს. გარკვეული პრობლემების გამო, მშობლები ვერ უზრუნველყოფენ ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას. ამჟამად ქ. ნატოს და მის ორ შვილიშვილს არანაირი ფინანსური შემოსავალი არ გააჩნიათ და იმყოფებიან უკიდურესად გაჭირვებულ პირობებში. ყოველთვიური შემწეობის მისაღებად განცხადება შევსებული აქვთ სოციალური მომსახურების ცენტრში. თამარა ონიანმა პ/ნ 27001003910 მ/წ ივნისის თვეში გადაიტანა თავის ტვინის ჰემორაგიული ინსულტი, ამჟამად არის მწოლიარე ავადმყოფი. იმყოფება სიღარიბის ზრვარს ქვემოთ. ლია სელეცკი პ/ნ27001001460 მის შვილს- გრიშა ლიპარტელიანს პ/ნ27001007860 დიაგნოსტირებული აქვს პარანოიდური შიზოფრენია და ესაჭიროება მუდმივი მედიკამენტოზური მკურნალობა. ოჯახი არის ეკონომიურად შეჭირვებული. გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ხათუნა ფურელიანი პ/ნ27001002112 არის მარტოხელა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დედა, მ/წ თებერვლის თვეში გაიკეთა ლაპარასკოპიული ქოლეცისტექტომია, ესაჭიროება მუდმივი მედიკამენტოზური მკურნალობა არის სოიალურად დაუცველი. გაცნობებთ, რომ ზემოთ აღნიშნული ბენეფიციარები და მათი ოჯახები ვერ აკმაყოფილებენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 15 იანვრის №02 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებს. არსებული მძიმე სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას, აღნიშნულ მოქალაქეებზე გაიცეს ერთჯერადი ფინანსური დახმარება მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდიდან შემდეგი ოდენობით: 1.ნატო ტვილდიანი- 500 (ხუთასი) ლ 2.თამარ ონიანი 300 (სამასი)ლ 3.ლია სელეცკი 500 (ხუთასი)ლ 4.ხათუნა ფურელიანი 300 (სამასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: დეპუტატებმა ელდარი ლიპარტელიანმა, დათო ფურელიანმა - ნამდვილად დადებითი ფაქტია ასეთი შეჭივრებული ოჯახების ფინანსური დახმარება. თუ არის ბიუჯეტში შესაძლებლობა გავზარდოთ ეს თანხები.

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ უმძიმესისოციალური პირობების გათვალისწინებით შეიძლება ნატო ტვილდიანს მივცეთ 1000(ერთი)ატასი ლარი და დანარჩენ სამ ოჯახს 500-500 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს; მიეცეს თანხმობა მერს ფინანსური დახმარება გასცეს სოციალურად შეჭივრებულ ოჯახებზე. (განკარგულება თან ერთვის).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა აღნიშნა, რომ მომზადებული აქვს საკითხი -ლენტეხის მუნიციპალიტეტში — გარე განათების სისტემიდან ელექტროენერგიის შესაძლო დატაცების ფაქტების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის თაობაზე.

სხდომის წევრებმა მოიწონეს აღნიშნული საკითხი.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შეიქმნას გარე განათების სისტემიდან ელექტროენერგიის შესაძლო დატაცების ფაქტების შემსწავლელი დროებითი კომისია წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი